ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N3

ქ. ლანჩხუთი

25.03.2024 წელი

11.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ჯუმბერ ბლაგიძე, ელისო ჭიჭინაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კახა თედორაძე, ლოლიტა ურუშაძე, გივი თედორაძე, ემზარ თევდორაძე.
მოწვეული სტუმარი; მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე; 5. წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 22 თებერვლის N14 წერილით, (კანცელარიის ნომერი N 10/302405349-30 – 22.02.2024 წ.) მომართა ა(ა)იპ ,,ოდა ქეარის" დირექტორმა ვერა წულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ორგანიზაცია ახორციელებს: ბავშვთა ადრეული განვითარების, რეაბილიტაცია/ აბილიტაციისა და აუტიზმის პროგრამას. ა(ა)იპ ,,ოდა ქეარის" დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციას მზარდი მომართვიანობის გამო, ესაჭიროება დამატებითი სივრცე, რის გამოც ითხოვა - ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 12,58 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.501) ფართის გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს ორი წლის ვადით, გარდა აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე ; 5. წინააღმდეგი: არცერთი.

2. სხვადასხვა.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა: კვლავ არ გაუტანიათ რკინის კონსტრუქციები და საამშენებლო ნაგავი საქართველოს რკინიგზას, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მოქალაქეებისთვის; ტაბანათში შიდა სასოფლო გზები მოიხრეშა, დაახლოებით ერთი თვის უკან, რომელიც მოსწორებული არ არის რის გამოც ჭარბი ნალექის შემთხვევაში ხრეშის მასის უმეტესობა ჩატანილი იქნება იქვე გამდინარე არხებში. აუცილებელია სასწრაფო მოხდეს ამ ხრეშის მოსწორება; როგორც ცნობილია მუნიციპალიტეტს შეძენილი აქვს სამგზავრო ავტობუსები. უკვე დიდი ხანი გავიდა და ამ ავტობუსების მარშრუტები არ არის განსაზღვრული გრიგოლეთის და წყალწმინდის მიმართულებით. მაინტერესებს როგორია აღნიშნული მარშრუტები და როდიდან ამოქმედდება.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ მის საარჩევნო ოლქში შემავალ სოფლებში ,,ენერგო პროჯორჯიას" ელექტრო ბოძების მნიშვნელოვანი რაოდენობა კატასტროფულ მდგომარეობაშია, რომელიც შეიძლება სავალალო შედეგებით დასრულდეს. მაინტერესებს იგეგმება თუ, არა ასეთი ავარიული ბოძების შეცვლა და როდიდან?

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N3

ქ. ლანჩხუთი

25.03. 2024 წ.

2024 წლის 25 მარტს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
2.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ოდა ქეარისთვის" (ს/ნ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

25.03.2024 წელი
11:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	10 50	
2.	ემზარ თევდორაძე		
3.	სპარტაკ კვაჭაძე	10 55	
4.	ელისო ჭიჭინაძე	10 55	
5.	კახა თედორაძე		
6.	ლოლიტა ურუშაძე		
7.	ზაზა წულაძე	10 - 50	
8.	გივი ცინცაძე		
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	10 - 50	